ხობის მოამბე

№8 (7103) 28 აგვისტო,
სამშაბათი, 2018 წელი.
ფასი 0,70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

„ოვლათშეარდენილნი ულელნი ტკბილნი ყოველთა საფიცარნი ყოველთა საფარველნი. საცა ულელ ვალთა ადგეთ, იგი ყოველთა-ვე ადგილ... ყოველი სასოებითმოსილი, რომელსა ტკბილად ცოდეთ თუ მწარედ ადგეთ, ნაჩქარევ-ნაჩქარევად ანის ადგილ, რომ მოვალთ და ამ ადგილნი-ნი ადგილ იყოს.“

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში გუბერნატორად ალექსანდრე მოწერელია დაინიშნა

გუბერნატორი ზუგდიდში შს მინისტრმა გიორგი გახარიამ და მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონული განვითარების სამსახურის ხელმძღვანელმა სოზარ სუბარმა წარადგინეს.

შს მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამეგრელოს რეგიონს მთავრობის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა.

„გულწრფელად გპირდებით, სრული გარანტიით, რომ განსაკუთრებული ყურადღება მთავრობის მხრიდან იქნება მოქცეული სამეგრელოზე და განსაკუთრებით ზუგდიდზე. არავინ მოითმენს, რომ აქ არ იყვნენ ხუთოსნები და არ იყოს საუკეთესო პრაქტიკა. ყველაფერთან ერთად, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ რეგიონის აუცილებლობა იყოს სამაგალითო, ასევე განპირობებულია იმ „საზღვრით“, რომელიც გვერდზე არის. შესაბამისად, უნდა გვესმოდეს, რომ ვალდებული ვართ, აი ასე, აფხაზეთის სიახლოვეს ვიყოთ საუკეთესოები“,

ალექსანდრე მოწერელია: „ხელისუფლება უნდა აკეთებდეს იმას, რაც მოსახლეობის ინტერესებშია“

„მე სრულად მაქვს გააზრებული ის პასუხისმგებლობა, რომელიც დამეკისრა და ვეცდები ჩემი საქმიანობით გავამართლო ეს ნდობა.

უახლოეს წარსულს თვალს თუ გადავავლებთ, ნათელია, რომ ხელისუფლების ძალისხმევით მნიშვნელოვნად გაიზარდა დემოკრატიის ხარისხი და ადამიანის უფლებების დაცვა გახდა პრიორიტეტული. მოსახლეობის საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის შემოღება უდიდესი სოციალური მნიშვნელობის პროექტად წარმოგვიდგა.სულ ახლახანს, ახალი შეღავათიანი რეგულაციები შევიდა ძალაში, მცირე ბიზნესისათვის შეღავათიანი რეგულაციის შემოღებით, რაც მათთვის დაბეგვრის 5%-ის ნაცვლად 1%-მდე დაწევას გულისხმობს და რაც მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით, დაწესებულია შეღავათიანი აგროკრედიტი, მთელი რიგი საჭირო რეგულაციები და სხვა. ბუნებრივია, ხელისუფლება უნდა აკეთებდეს იმას, რაც მოსახლეობის ინტერესებშია, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმის ვითარება ჩვენი მხარის მუნიციპალიტეტებში ოპტიმიზმის საფუძველს ყოველთვის არ გვაძლევს. ჩვენი ძალისხმევა მთლიანად უნდა მიემართებოდეს არა საქმის ფორმალურად კეთებას, არამედ სიტუაციის არსებითად გაჯანსაღებას და იმგვარი პროცესების წარმართვას, რაც ჩვენი მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას გაუმჯობესებს.

ჩემი ინფორმაციით და პირადი დაკვირვებით, ადგილებზე ხელისუფლება რიგ შემთხვევებში პასიურია და არ იყენებს მის ხელთ არსებულ სრულ უფლებამოსილებას, რათა საბოლოოდ გადაიჭრას ძირითადი მნიშვნელობის პრობლემები.

ვფიქრობ, მიუღებელია სახელისუფლებო ძალაუფლებით სარგებლობა ან ამ შესაძლებლობების მიცემა გარეშე პირებისთვის, კერძო, არასაჯარო ინტერესების დასაკმაყოფილებლად“,–აღნიშნა ალექსანდრე მოწერელიამ.

დღეს მარიამობაა ბილოცავთ!

„ჰოი, ყოვლადწმინდაო ღვთისმშობელო შეგვწინე და გვიხსენ ჩვენ–მმოსავნი შენნი. დედოფალო, გვაცხოვნენ ჩვენ“

ცოტნეობა–2018

სამშობლოს სიყვარულის სადიდებელი...

ცოტნე დადიანი–საქართველოს ერთიანობის სიმბოლო, ჩვენი სიწმინდე და სიამაყე. მისმა გმირობამ თავისი კეთილშობილებითა და ამაღლებული სულით დაცემული ქართველობაც აამაღლა და უკვდავებას აზიარა, მის მაგალითზე დღემდე თაობები იზრდებიან და აგერ ათეული წლებია „მთვარის ყაბალახიანი, ღამის ნაბდიანი მოდის, მოიჩქარის ცოტნე დადიანი“.

12 აგვისტო ცოტნე დადიანის ხსენების დღეა, ჩვენი მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად დღესასწაულობს ამ თარიღს, მასპინძლობს სტუმრებს ამერიმერიდან და კიდევ ერთხელ იხსენებს მამულიშვილთა უკვდავ სტრიქონებს: „სამეგრელო არის ქუჯი ეგრისელის სიბრძნე, გიორგი ჭყონდიდელის მწიგნობრობა, კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნული სულისკვეთება, იოსებ ჟორდანიას კეთილმოყვარეობა, ჟიული შარტავასა და სხვა მრავალთა და მრავალთა გმირობა და ზნეობა“–ბრძანებდა შოთა ნიშნიანიძე, რომელმაც ცოტნე დადიანისა და კოლხეთის სადიდებლად უკვდავი სტრიქონები არ დაიშურა...

საუკუნეთა დრო-ჟამმა დაამტკიცა, რომ ღირსეულ წინაპართა ღვაწლმა, მათმა მაღალმა სულიერებამ, გაუტეხლობამ, სიმტკიცემ, პრინციპულობამ, ქვეყნისთვის თავდადებამ ჩამოაყალიბა ქართველი ერი. ამიტომაც საუკუნეებს გაუძლო სამშობლოს სიყვარულის ფენომენმა. ერთ-ერთი მათგანია კოხტაგორის შეთქმულების ამბავი–საქართველოს ერთიანობისთვის თავდადებისა და მოძმეთა სიყვარულის უბადლო მაგალითი.

ცოტნე დადიანი საქართველოს სიამაყე, ტკივილი და დარდია. სწორედ მის მაგალითზე აღზრდილები ზვარაკად ეწირებოდნენ და ეწირებიან დედასამშობლოს ძლიერებას...

ჩვენს მუნიციპალიტეტში

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

27 აგვისტოს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს და მერიის ხელმძღვანელი პირები.

სხდომაზე განიხილეს დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელდა 2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთის 90,0 ათასი ლარის ასახვა, ასევე ბიუჯეტში გადიდდა შემოსავლები „გრანტები“-დან 833,9 ათასი და 188,7 ათასი ლარით, საბოლოოდ ბიუჯეტის მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 12095.7 ათასი ლარი.

სხდომაზე ასევე განხილულიქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ რომლის თანახმადაც თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ „განათლებისა და განვითარების ცენტრს „თოლისკურს“ საწარმოო დანიშნულებისთვის გადაეცა 42 კვ.მ ფართი იჯარით 10 წლის ვადით, სოფლის ახალგაზრდების დასაქმებისა და ადმინისტრაციულ ერთეულში საწარმოო პროცესის ამოქმედების მიზნით. ხოლო არასამთავრობო ორგანიზაცია ა(ა)იპ „ხობი ჭშ “-ს პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაეცა ეს ქალაქ ხობში ცოტნე დადიანის ქ. 185-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის მე-4 სართულზე არსებული ფართი საოფისედ, მცირე და საშუალო მეწარმეების ინფორმირებულობის ხელშეწყობის მიზნით.

საკრებულოს სხდომაზე ბოლო საკითხად განხილულიქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“, რომლის თანახმადაც ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში მგზავრთა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით შეიზღუდა მძიმეწონიანი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა და განთავსდება სიჩქარის შემზღუდავი შემდეგი საგზაო ნიშნები: წმინდა ნინოს ქუჩაზე (საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიიდან ჭალადიდის ცენტრამდე) ორივე მხარეს დამონტაჟდება საგზაო ნიშანი „ღერძზე დატვირთვის შეზღუდვა“ 5 ტ. ზემოთ აკრძალულია. წმინდა ნინოს ქუჩაზე (საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიიდან ჭალადიდის ცენტრამდე) ორივე მხარეს დამონტაჟდება საგზაო ნიშანი „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ 50 კმ-ზე ზემოთ აკრძალულია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ამ და სხვა საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

შეხვედრა ქარიატის მოსახლეობასთან

26 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრი ირაკლი (დაჩი) ბერაია,ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, მერი გოჩა ქაჯაია, მერის მოადგილე ვარაზ გაბედავა და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ტარიელ ალექსანდრია, ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობას შეხვდნენ.

შეხვედრაზე ისაუბრეს სოფელში განხორციელებულ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და ფაროსანასთან დაკავშირებით ჩატარებულ შეწამვლით სამუშაოებზე. განიხილეს მომავალში დაგეგმილი პროექტები. ადგილობრივებმა მათთვის საინტერესო კითხვებზე ამომწურავი პასუხები მიიღეს.

შეხვედრის დასასრულს მოსახლეობამ მადლიერება გამოხატა ქარიატაში გატარებული სხვადასხვა სახის ღონისძიებების გამო.

გალმა საჯიჯაოში ნაპირსამაგრი სამუშაოები მიმდინარეობს

ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ გალმა საჯიჯაოში დაზიანებული ნაპირსამაგრი ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტი, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხით ხორციელდება.

ნაპირსამაგრი სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ, მერის მოადგილე ვარაზ გაბედავამ და მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა ზაზა ბუკიამ დაათვალიერეს. სამუშაოებს, რომლის ღირებულებაც 103 785, 37 ლარია, შპს „შარა-გზამშენი პირველი“ ასრულებს. ნაპირსამაგრის მოწყობის შედეგად მდინარე ხობის ადიდების შემთხვევაში, ადგილობრივი მოსახლეობის საკარმიდამო მიწის ნაკვეთი და შიდა სასოფლო გზა დატბორვისგან იქნება დაცული.

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა გრძელდება

27 აგვისტოს ხობის მუნიციპალიტეტის მერიის სააქტო დარბაზში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობასთან დაკავშირებით, პროექტის კოორდინატორმა ალექსანდრე თოლორაიამ, დამსწრე საზოგადოებასთან საინფორმაციო სახის შეხვედრა გამართა.

2018 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის კომპონენტს ახალი პირობებით განაგრძობს.

2018 წელს, სახელმწიფო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება ექნება როგორც მეწარმე სუბიექტს, რომელსაც პროგრამის ფარგლებში დაფინანსება არ მიუღია, ან პირველად მონაწილეობს, ასევე –მეწარმე სუბიექტს/მეწარმე სუბიექტთა ჯგუფს, რომელმაც ერთხელ უკვე მიიღო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილით განსაზღვრული ხელშეწყობა. იმისთვის, რომ მეწარმე სუბიექტებს/მეწარმე სუბიექტთა ჯგუფს კვლავ ჰქონდეს პროგრამის ფარგლებში გრანტის მიღების შესაძლებლობა, მათ უნდა წარადგინონ პროექტი, რომელიც შეეხება მათთვის უკვე დაფინანსებული საქმიანობის გაფართოება/გადაიარაღებას.

განსხვავებულად განისაზღვრება თანამონაწილეობის წილიც - პროგრამის მოსარგებლის/მოსარგებლეთა ჯგუფის მიერ პროგრამაში თანამონაწილეობის წილი განისაზღვრება დაფინანსების თანხის არანაკლებ 50 პროცენტით, მაშინ როდესაც პროგრამის ახალი ბენეფიციარის მიერ პროგრამაში თანამონაწილეობის წილი განისაზღვრება დაფინანსების თანხის არანაკლებ 20 პროცენტით. ასევე, გაზრდილია დაფინანსების მაქსიმალური მოცულობა და ნაცვლად 15 000 ლარისა, შეადგენს 20 000 ლარს.

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის კომპონენტი ხელს უწყობს რეგიონული მოსახლეობის გააქტიურებას წამოიწყონ, ან გააფართოონ საკუთარი ბიზნესი. ფინანსური დახმარების გაწევის გზით, რეგიონის მაცხოვრებლებს ეძლევათ შესაძლებლობა წამოიწყონ საკუთარი საქმე, ხოლო საკონსულტაციო კომპონენტის არსებობა უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ცოდნის ამაღლებას ბიზნესის კეთების კუთხით.

2015-2018 წლის მონაცემებით, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, მხარდაჭერილია 5 313 პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 50 მლნ ლარამდე, ამასთანავე თანადაფინანსების სახით გაიცა 22 949 474 ლარი, სადაც 8 412 ბენეფიციარი/მოსარგებლეა. პროექტი ხორციელდება საქართველოს ყველა რეგიონში, გარდა თბილისისა.

შეხვედრას, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია ესწრებოდნენ.

ექსკლუზივი

ედიშერ ჯობავა: „ხობის მუნიციპალიტეტს აქვს მყარი პოლიტიკური ნება უზრუნველყოს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ეფექტიანი დანერგვა“

საქართველოში ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ეფექტური განხორციელება გამოცხადდა. ამ პროცესში განსაკუთრებულ როლს გენდერული პოლიტიკის ლოკალიზაცია იკავებს. პროცესის ეფექტური წარმართვისთვის კი მნიშვნელოვანია მმართველობის სხვადასხვა დონეზე შექმნილი გენდერული ინსტიტუციური მექანიზმების ფუნქციონირება, განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტებში.

2016 წლის კანონის ამოქმედების შემდეგ, რომელიც საკრებულოში გენდერული თანასწორობის საბჭოების ფორმირებას, ხოლო მერიაში გენდერზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნას გულისხმობდა, დაიწყო გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვა საქართველოს ყველა თვითმმართველობაში.

2017–18 წლებში გენდერული თანასწორობის საბჭოები ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნა, შემუშავდა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმებიც.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, გენდერული თანასწორობის საბჭო 2017 წლის 30 მაისის დადგენილებით შეიქმნა. საბჭო ამ ეტაპზე 7 წევრისგან შედგება და მას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორი მოწვევის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა ხელმძღვანელობს.

2018 წლის ივლისში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა მორიგი სხდომა, რომელზეც დეპუტატებმა მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლების პირველი სამოქმედო გეგმა დაამტკიცეს. სამოქმედო გეგმა მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ, არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მხარდაჭერით და სამ პრიორიტეტულ მიმართულებას მოიცავს. მასში გათვალისწინებულია ის აუცილებელი ღონისძიებები, რომლებიც ხობის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის უზრუნველსაყოფად უნდა გატარდეს.

რამდენად მნიშვნელოვანია გენდერული პოლიტიკის გატარება ქვეყანაში, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას პირველ რიგში ამ მიმართულებით, არსებობს თუ არა გამოწვევები და პრობლემები ამ პოლიტიკის რეალიზაციის კუთხით მუნიციპალიტეტში–ამ და სხვა კითხვებით მივმართეთ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეს **ედიშერ ჯობავას.**

თვლით თუ არა, რომ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის უზრუნველყოფა ქვეყანაში, და კერძოდ, ხობის მუნიციპალიტეტში მნიშნელოვანი საკითხია?

–გენდერული თანასწორობის პოლიტიკის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია, რადგან გენდერული უთანასწორობა არაერთი პრობლემის განმაპირობებელია. შესაბამისად, საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობა არსებული გამოწვევებისა თუ პრობლემების აღმოსაფხვრელად.

რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას პირველ რიგში მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებისა და ამ პოლიტიკის ლოკალიზაციისთვის?

–პირველ რიგში, მნიშვნელოვანია სამოქმედო გეგმის არსებობა, რომელიც მუნიციპალიტეტს უკვე გააჩნია, შემდგომ უკვე პრაქტიკული, ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

დაწყებულია თუ არა მუშაობა მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით, და კერძოდ, რა აქტივობებია განხორციელებული?

–პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს რომ არსებობს პოლიტიკური ნება, რისი დასტურიც გახლავთ როგორც პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის დამტკიცება, ისე ინსტიტუციური მექანიზმების არსებობა (იგულისხმება გენდერული თანასწორობის საბჭო საკრებულოში და გენდერული მრჩევლის პოზიცია მერიაში). გარდა ამისა, აღსანიშნავია რომ ხობის მუნიციპალიტეტი 2017 წლიდან უზრუნველყოფს ერთჯერად ფინანსურ დახმარებას 300 ლარის ოდენობით, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთათვის. პერიოდულად იმართება საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებები. მუნიციპალიტეტი აქტიურად თანამშრომლობს სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან.

სჭირდება თუ არა მუნიციპალიტეტს დახმარება და მხარდაჭერა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებაში?

–მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია ექსპერტული, თემატური დახმარება, ისევე როგორც ჩართულობა და ინფორმირებულობა ცენტრალურ ხელისუფლებაში განხორციელებული თუ მიმდინარე ღონისძიებების შესახებ.

მუნიციპალიტეტი ასევე საჭიროებს თემატურ გაძლიერებას და რეკომენდაციებს ადგილობრივ დონეზე განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

რა გამოწვევები არსებობს მუნიციპალიტეტში გენდერული პოლიტიკის განხორციელების და ლოკალიზაციის კუთხით?

–მთავარ გამოწვევად ვთვლი თემატური ექსპერტიზის არარსებობას და მუნიციპალიტეტში არსებულ სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს.

რა მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები გააჩნია მუნიციპალიტეტს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების კუთხით?

–მოკლევადიან გეგმაში მუნიციპალიტეტი აქტიურად ჩაერთვება საზოგადოების ინფორმირებულობის კუთხით განსახორციელებელ ღონისძიებებში, ასევე გეგმავს შეუერთდეს 16 დღიან გლობალურ კამპანიას გენდერული ძალადობის წინააღმდეგ. გრძელვადიან გეგმაში, ეტაპობრივად მუნიციპალიტეტი განახორციელებს ლოკალური გეგმით განსაზღვრულ ღონისძიებებს და აქტიურად ითანამშრომლებს, როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან. როგორც აღვნიშნე, მუნიციპალიტეტს უკვე გააჩნია სამოქმედო გეგმა, გვაქვს ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა, აგრეთვე აქტიურად დავიწყეთ ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით საინფორმაციო კამპანია, რომელიც მორგებული იქნება ადგილობრივ სპეციფიკას, ეს კი უდაოდ ხელს შეუწყობს ცნობიერების ამაღლებას.

მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებებისა, არსებობს არაერთი გამოწვევა, რომლის საპასუხოდ მუნიციპალიტეტს აქვს მყარი პოლიტიკური ნება უზრუნველყოს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ეფექტიანი დანერგვა.

სტატია მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ ფარგლებში.

აგვისტოს ომიდან 10 წელი გავიდა...

მემორიალი ყვავილებით შეამკეს

აგვისტოს ომის დროს დაღუპული 9 ხობელი გმირის ხსოვნას პატივი მიაგეს და მემორიალი ყვავილებით შეამკეს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა კობა ქანთარიამ, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ, მერმა გოჩა ქაჯაიამ, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა.

საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი ხობის წმინდა სამების სახელობის ეკლესიაში, მღვდელმა კირიონმა (დარასელია) გადაიხადა.

დიდება გმირებს!

ერთ მუჭად შეკრულ სამშობლოს
გულზე,
სისხლისფერ დროშებს არწევდა ქარი,
შელეწილ მკერდს და ნატყვიარ
მუხლებს,
ათი წელია იგონებს ქალი,
რომელსაც ომში მოუკლეს შვილი,
რომელსაც ომში მოუკლეს ქმარი,
ათი წელია სტკივა და ტირის,
ათი წელია ჰქვია შვილმკვდარი...
დიდება გმირებს!
დიდება მათ სულს!
დიდება მარად, იმ, მოკლულ ბიჭებს,
რომლებსაც ტყვიამ დაარქვა გმირი,
რომლებსაც ობლად დაურჩათ შვილი,
რომლებსაც უკვე წლებია ვტირით...
უფალმა მაშინ აკურთხა ყველა,
ემზადებოდნენ როდესაც მტრისთვის,
სურდათ ქვეყნისთვის აეხსნათ წყევლა,
მაგალითია გმირები სხვისთვის...
მოსთქვამდა დედა,
ტიროდნენ შვილებს,
მუხლებზე იდგა მთელი ქვეყანა,
აღარსაიდან ელოდნენ იმედს,
ქართული ჯარი ხუთ დღეს ეწამა...!
მეწამულ ზეცას ლეწავდა გრგვინვა,
ქართული მიწა საფლავად იქცა,
ჰო, აგრესია დასრულდა სისხლად,
დღეს კი სამშობლოს სხვა გმირი იცავს...
ქართული სიტყვა მოასწრეს ეთქვათ,
გადაუვლიდნენ ტყვიები ვიდრე.
ამაღლდნენ ზეცად,
ქრისტესთან ერთად
და საქართველოს გმირებად იქცნენ...

მზეკო ქვანია

,,ნეტავ თქვენებრ ვალმოხდილს“, ბიჭებო!

ომში არ ეძახიან ომში მიდიან,–აგვისტოს ცხელ დღეებში ამ სიტყვებით ემშვიდობებოდნენ ოჯახებს საქართველოში...

ისინი მიდიოდნენ უთანასწორო, უსამართლო, სისხლისმღვრელ ომში, რომელიც არნახული სისასტიკით სპობდა ყოველივე ქართულს...

წლების მანძილზე სამშვიდობო ძალებს ამოფარებული მტერი ბომბავდა ქართულ ქალაქებსა და სოფლებს, წვავდა, კლავდა, აცამტვერებდა ყველაფერს, რაც წინ დაუდგებოდა, შემოხვდებოდა...

დროდადრო ამ სისასტიკეს აჩერებდა... მტარვალის განცვიფრება, ხშირად აღფრთოვანება(ზიზღით დაბრმავებულ გონებას თუ კი რაღაც ჰქონდა შემორჩენილი ადამიანური და ქრისტიანული) ქართველი მეომრების, სამშობლოს დამცველების არნახული ვაჟკაცობა და მხედრული სული...

ამ სიმტკიცეს წინ მხოლოდ ვერაგობა და რიგით სიმრავლე ედგა. და ეს არ იყო მხოლოდ სამშობლოსთვის თავდადება, ეს თანატოლებისთვის, მომავალი თაობებისთვის, იყო მაგალითი და გაფრთხილება: გახსოვდეთ ,ვისი გორისანი ხართ, საიდან მოდიხართ და საით მიდიხართო! სულ ათიოდე წლის წინათ ჩვენ ერთი თაობა ვიყავით, თითქოს ერთნაირები, ერთმანეთისგან არაფრით განსხვავებულნი...

დღეს... ჩვენ ქართული საზოგადოების ერთი ჩვეულებრივი ნაწილი ვართ, აგვისტოს ხუთმა დღემ ისინი არაჩვეულებრივ ნაწილად აქცია, უფრო მეტი, გმირებად შერაცხა... **მიხეილ იოსავამ, დათა ხურცილავამ, გოგა ჭითანავამ, გოგა ბერაიამ, ლევან ჭოჭუამ, ლევან ტურავამ, ზვიად დათუაშვილმა, გოგიტა ქარჩავამ, რამაზ კიტიამ** ხუთ დღეში მოახერხეს ქცეულიყვნენ ლეგენდებად, მარადიულ სანთელდანთებულ სახელებად... ეს მხოლოდ ერთეულთა ხვედრია.

...ისევ მოვიდა აგვისტო, ცრემლებით, ტკივილით სავსე. უსაზღრო დარდს მუდამ ახლავს უსაზღვრო სიამაყე დაუმარცხებელი ქართული სულისა.

ისტორიის დღევანდელ ფურცლებს თქვენი ცხოვრება, გმირობა და გამორჩეული თავდადება ამშვენებს:

მიხეილ,
დათა,
გოგა,
გოგა,
ლევან,
ლევან,
ზვიად,
გოგიტა,
რამაზ!

თქვენ ბევრნი, ბევრნი ხართ! დღეს ზეციური საქართველოს ბინადარნი, გუშინ საქართველოს გუშაგნი და მამაცი დამცველნი, შვილებისთვის მომავალი თაობებისთვის მაგალითის მიმცემნი, საკუთარი სიცოცხლის ფასად საქართველოს ისტორიის შემოქმედნი!

,,ნეტავ, თქვენებრ ვალმოხდილს,“ ბიჭებო!

ლაშა ცატავა.

დიდება გმირებს

გოგიტა ქარჩავა

...მტრის ალყაში იყვნენ, გოგიტას უკან ასაფეთქებელი მოწყობილობა რომ დავარდნილა. როგორც თანამებრძოლები გაიხსენებენ – რაღაც მობილურის მსგავსი. უყვირიათ „ქარჩავა დაწექი“!.. მას მხოლოდ გახედვა მოუსწრია და... აფეთქებას შეუზანზარებია კიდეც უკვე მერამდენედ იქაურობა...

10 აგვისტოს, ქვემო ქვალონში, ოჯახს დაურეკეს, დაჭრილი გორის ჰოსპიტალშია, სისხლი სჭირდება, ოჯახის რომელიმე წევრმა ჩამოაკითხეთო. უფროსი ძმა გადარეული გავარდა, მაგრამ... ცოცხალს ვერ ჩაუსწრო... საკუთარი ხელით წაასვენა 20 წლის ძმის ცხედარი...

გოგიტა სამშობლოსთვის ბრძოლაში გმირულად დაეცა!..

რამაზ კიტია

შეჩერდი წამო! ალბათ რომ შემეძლოს, ბევრჯერ გავაჩერებდი იმ წამებს, როცა თქვენი ლამაზი სიცოცხლე გაჩერდა... 2008 წლის 12 აგვისტო... მამაჩემის, ჩემი რძლის მშობლების, 17 წლის ერეკლეს ზვარაკად შეწირული სიცოცხლე ემსხვერპლა... 2008 წლის 21 სექტემბერი... ჩემი ერთადერთი ძმის, რამაზ კიტიას ლამაზი სიცოცხლე... გავაჩერებდი იმ წამებს, როცა საქართველოს ლომგულა ბიჭების სიცოცხლე ჩაქრა... ამ ადამიანების მიღმა შვილმკვდარი დედებია... მეუღლეების, შვილების, ძმების და დების გაუსაძლისი ტკივილია... რომ შემეძლოს გავაჩერებდი იმ წამებს... მაგრამ არ შემიძლია... არ შემიძლია, ჩემს ტყუპ ძმისშვილებს მამის სიცოცხლე დავუბრუნო... რვა თვის პატარები მისი სიყვარულის გარეშე, იზრდებიან... დღეს გიო და ლუკა 11 წლის არიან... ჩემს ავადმყოფ დედას, შვილი დავუბრუნო... ღმერთო მაპატიე... მე არაფერი შემიძლია, უძლური ვარ... უბრალოდ, გთხოვ, მოგვეცი მოთმინების და გაძლების უნარი... მე თქვენ მიყვარხართ!

ეკა კიტია.

გოგა ბერაია

გამთენიისას, შვიდ საათზე და 10 წუთზე, ბინდი ჩამოწვა, სოფელში ცრემლების წვიმა წამოვიდა...

ყურში წვიმის წვეთები დაუნდობლად კიოდნენ, ირგვლივ ყველაფერი ტიროდა...

პირტიტველა, მეოცნებე, მეამბოხე პატარა, მაგრამ დიდი ქართველი ნაადრევად მოწყდა ცის კაბადონს...

დაისადგურა ტკივილმა, სევდამ, მწუხარებამ...

მას შემდეგ ათი ტკივილიანი წელი გავიდა...

გოგა, ჩემო ცისფერთვალა ჭკვიანო ბიჭო, როგორ მინდა მოგეფერო, გაგიღიმო, გულში ჩაგიხუტო და გითხრა „მიყვარხარ“...

ის არ მომკვდარა, ფრთები შეისხა,
ლოცავს მამულის ზეცა
კრიალა
და საქართველომ მის
ოცნებებში
თეთრი ველები ჩამოიარა...
ის, არ მომკვდარა,
თავისი კერა გამოიცვალა,
და მოტრფიალე დარჩა
მდელოსი...
გმირი, რაინდი
საქართველოსი...

არა, ის არ მომკვდარა, ისევ მოევლინა ამ ქვეყანას პატარა გოგას სახით.

...ბევრმა აგვისტოს ომის ტკივილი სხვადასხვანაირად აღიქვა და გამოხატა. ზოგმა ცრემლებს გაუხსნა გზა, ზოგმა ქვაში აამეტყველა სათქმელი, მავანმა მუსიკაში გააჟღერა სულის გამოძახილი, ვიღაცამ სტრიქონებს მიანდო გულისთქმა, ზოგმა ფუნჯს და საღებავს გაანდო ტკივილი, ზოგმა ქსოვილში მიქარგ-მოქარგა სათქმელი...

ჩვენ, ჩვენ კი როცა ხორგისკენ მიმავალ მოკლე, მაგრამ საოცრად ლამაზ ქუჩას ავუყვებით, ვფიქრობთ, სოფლის მთავარ ქუჩას ქართველი ვაჟკაცის გოგა ბერაიას სახელი უნდა ერქვას.

ნაირა ბერაია.

ცოტნეობა–2018

1

თუკი ისტორიულ წყაროებს გავიხსენებთ, ხობის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების მონასტრის აშენების მეისტორიენი ამ ნაგებობის გუმბათზე ცოტნეს ფრესკის გამოსახულების გამო მის სახელს უკავშირებდნენ.

ისტორიკოსი და მკვლევარი, ბატონი გოგიტა ჩიტაია თავის შრომაში „ხობის მონასტერი“, წერს: „დღემდე შემორჩენილი თქმულების მიხედვით ერთხელ ცოტნე დადიანი ხობისწყლის პირას ნადირობდა. იქ, სადაც დღეს ხობის მონასტერი მდებარეობს, გაუვალი ტყე ყოფილა. ცოტნეს დაღამებია და ღამე ვინმე კიტიას ოჯახში გაუთევია. დადიანს მეორე დღეს გაუგრძელებია ნადირობა და ტახი მოუკლავს. ხოლო იქ, სადაც დღეს მონასტრია, დანგრეული ეკლესია უნახავს. ცოტნეს კიტიასთვის დაუვალებია ეკლესიის მიდამოები გაეკაფა, შემდეგ მას აქ ახალი ეკლესია აუგია.

...ტაძრის სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილში არსებობს ისტორიულ პირთა სურათები წარწერებით: „ერისთავთ ერისთავი შერგილ დადიანი“, „დიოფალთ-დიოფალი ნათელი“, „ძე მათი ცოტნე, „ასული ამათი თამარ“.

ჩვენი ისტორიის, წარსულის პატივისცემის ნიშნად ტაძარს ყოველ 12 აგვისტოს სტუმრობს სასულიერო პირები ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. ხობის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში აღევლინება წირვა-ლოცვა წმიდა ცოტნე დადიანის მოსახსენიებლად...

წელსაც არ დარღვეულა ტრადიცია...

დღესასწაულთან დაკავშირებით ხობის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში წირვა-ლოცვა ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად აღავლინა. წირვას ახალციხისა და ტაოკლაჯეთის მიტროპოლიტი თევდორე (ჭუაძე) ესწრებოდა. საუკუნეთა მანძილზე ერთ-ერთ ეკლესიის განახლებულ ეზოს პატარა ჩოხოსნები ამშვენებდნენ, საკათალიკოსო სასახლეში „ცოტნეობის“ ღონისძიების მეორე ნაწილის სამზადისი იყო...

თუმცა ეს სამზადისი იმ დღეს არ დაწყებულა. ხობელი შემოქმედი, ნიჭიერი ახალგაზრდების კოჰორტას ავსებს დიკა სალაყაია, პოეტი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ლექტორი, ხობელთა ჭირისა და ლხინის თანაზიარი, კოლხეთის სადარი ქალბატონი, რომელიც თბილისში მოღვაწეობს... ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის (უფროსი როზეტა შულაია) ერთობლივი გადაწყვეტილებით ტაძრის ეზოში, საკათალიკოსო სასახლეში, პოეზიის საღამო უნდა ჩატარებულიყო... ღონისძიების ანონსი გვაუწყებდა, რომ საღამო ტარიელ ხარხელაურს, პეტრე კოლხს, ლაშა გვასალიას, თემო შენგელიას, ბესარიონ ჩანქსელიანს უმასპინძლებდა...

სამშობლოს სიყვარულის სადიდებელი...

ამთავითვე ვიტყვი, წელს ეს ტრადიციული დღესასწაული არატრადიციულად, მაგრამ ულამაზესად ჩატარდა, ეს იყო ქართული სულის, სამშობლოს ტკივილისა და სიხარულის, სიყვარულის ზეიმი, რომელსაც თან ახლდა მაყურებლის კმაყოფილება და ჩუმი ემოცია...

პოეზიის საღამოს თავად დიკა სალაყაია უძღვებოდა. საზოგადოებას დღესასწაული მიულოცა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავამ, მან მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისთვის.

მწერალმა და პუბლიცისტმა ლაშა გვასალიამ მეგრული ლექსით „დაატკბო“ მსმენელი, ისაუბრა ცოტნეს გმირობასა და „ცოტნეობის“ აღნიშვნის მნიშვნელობაზე.

ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტმა ისაუბრა ცოტნეს გმირობის მნიშვნელობაზე, დამსწრე საზოგადოებას მიულოცა ეს ულამაზესი დღე, ცოტნე აღმსარებლის ხსენების დღე.

ანსამბლი „კოლხეთი“ სიმღერით „ცოტნე დადიანი“ წარსდგა მაყურებლის წინაშე.

ხობის კოლორიტის, სულნათელი იმედო ქანდარიას ქალიშვილის მაიკო ქანდარიას მიერ წაკითხულმა ტარიელ ხარხელაურის ლექსმა „ჩემო დედილო“ და შოთა ნიშნიანიძის „აფხაზურმა კანტანტამ“ გულისგულში გაიარა, შემდეგ კი თავად ავტორმა თანამედროვე პოეზიის კორიფემ ტარიელ ხარხელაურმა გაანებივრა მსმენელი და მისი უბადლო პოეზიიდან ორი ლექსი წაიკითხა, რამაზ ლოლუამ ჩვეული „ოსტატობით“ წაიკითხა ხუტა ბერულავას ლექსი „ეპიტაფია სვეტიცხოვლის კედელზე“

შემდეგ ახალგაზრდა პოეტმა დიკა სალაყაიამ საკუთარი ლექსი ანსამბლის მიერ შესრულებული „შენ ხარ ვენახის“ ფონზე მოკრძალებით წაიკითხა. სტუმრებმა მამა პეტრემ (კოლხი), ბესარიონ ჩანქსელიანმა, დემეტრე ქადარიამ, ხობელმა პოეტმა ია ნანეიშვილმა სასიამოვნო განწყობა შეგვიქმნეს. სენაკის ანსამბლმა „გოგალაიმ“ პოპური შეასრულა.

შემდეგ საღამოს წამყვანმა ხატმწერ ქეთი ყურაშვილის თექაზე შესრულებული ნამუშევრები წარადგინა, რომელიც დარბაზში იყო გამოფენილი.

ტარიელ ხარხალაურს კი გადასცეს ხობის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის (დირექტორი ბორის ბერაია) სახელოვნებო მიმართულების სპეციალისტის დარეჯან ცხვიტარიას ნამუშევარი (ტარიელ ხარხელაურის პორტრეტი და მისი მოსწავლეების, ხობელი თვითნასწავლი ხელოვანის ლია ბაჩალიაშვილის თექაზე შესრულებული ნამუშევრები.

ბოლოს ფოთისა და ხობის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა მეუფე გრიგოლმა კიდევ ერთხელ ისაუბრა ცოტნეს გმირობის საკაცობრიო მნიშვნელობაზე, მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას. საქართველოს პარლამენტის ხობის მაჟორიტარ დეპუტატს ბატონ ირაკლი (დაჩი) ბერაიას, ქ. ფოთის დელეგაციას, ხობის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ გოჩა ქაჯაიას და საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ედიშერ ჯობავას.

საღამო დასრულდა, ეს იყო სამშობლოს, ჩვენი მამაცი ვაჟკაცების გმირობის საგალობელი. მონაწილეებმა არაერთხელ მიაგეს პატივი აფხაზეთსა და აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნას და გაამძაფრეს იმედი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისა.

ერთი სიტყვით, ეს იყო დღე–სამშობლოს ერთგულების, თავდადების, სიყვარულის საღიდებელი, რომელმაც მსმენელი ამოგზაურა ჩვენი ქვეყნის წარსულში, აამაღლა ქართული სულის ძლიერებით და რწმენით იმისა, რომ საქართველო გაბრწყინდება...

კიდევ ერთხელ მადლობა უფალო, ამ ლამაზი დღისთვის.

მერი ლაგვილავა.

ჩვენ მაინც შევძლებთ...

ხობში, რატომღაც სტუმრად მთვლიან, არადა აქაური მიწის შვილი, საკუთარ მიწა-წყალით ამაყი და მშობლიური ხობისთვის გულანთებული ერთი უბრალო გოგონა ვარ. თითოეული გოჯი მიწა მიყვარს

აქ... ყოველი კუთხე-კუნჭული ნაცნობი და საყვარელია... განსაკუთრებული სითბოთი და სიხარულით მავსებენ ხობელები...

და მაგონდება...

აგერ უკვე 26 წლის მანძილზე ყველა ზაფხულს ხობში ვატარებ და განსაკუთრებით ველოდები 12 აგვისტოს, ყველასთვის მნიშვნელოვან თარიღს...

რატომ განსაკუთრებულს?

განა სხვაგვარად შეიძლება?

„ცოტნეობაა“... ზეიმი... ზეიმი გმირობის, ზნეობის, თავდადებისა და სიყვარულის...

„კაცი პატიოსანი და სათნოებიანი და ბრძოლასა შინა სახელოვანი“.

სიტყვებით აღარ გავცვეთ მის გმირობას, მასზე ბევრი ითქვა, ბევრი დაიწერა, და ალბათ, კიდევ ბევრი დაიწერება...

ჩემთვის, ამ ქვეყნის შვილისთვის ცონტე დადიანი მუდამ იქნება ის გმირი, რომლის მოქმედებამაც დამყრობელი აიძულა გაეთავისუფლებინა ქართველები შემდეგი სიტყვებით:

„ყოველთა ქართველთა შენ მოგანიჭებთ და შენდა მინდობილ ვართ“.

ტრადიციულად, წლევანდელი „ცოტნეობის“ დღესასწაულსაც ვესწრებოდი.

წარსულ გმირებსა და ისტორიას მომავლის იმედი ერწყმოდა ნაპერწკალი იმ იმედისა, რომ ჩვენი გმირების თავდადებას ფუჭად არ ჩაუვლია... ნაპერწკალი იმ იმედისა, რომ სამშობლო ისევ გაბრწყინდება, იმ იმედისა, რომ ისევ დაიზრდებიან ცოტნეები... ნაპერწკალი იმ იმედისა, რომ სამშობლო ისევ გაბრწყინდება და გამთლიანდება...

რამ დამანახა ეს ყველაფერი?

სცენაზე დიდი ქართველი მგოსნების სიბრძნეზე გაზრდილი ახალი თაობის პოეტები ვნახე, პოეტები, რომელთა გულიც სამშობლოს სიყვარულით გამალებით ძგერდა...

ნეტავ გენახათ, სიტყვით გამოხატრული მათი აღტკინება, შინაგანი შფოთი, სულითა და არსებით გადმოცემული გრძნობები, პატივისცემა და მადლიერება წინაპარი გმირების მიმართ...

და მეც, ამ თაობის ნაწილი ვარ და ამ თაობასთან ერთად ვცდილობ მუდამ და სამარადჟამოდ უკდავყო საქართველოს, მშობლიური მიწა-წყლისთვის თავდადებული გმირების სახელები...

და მაინც, გულის სიღრმეში მჯერა, რომ ჩვენ ცოტნე დადიანის შთამომავალნი შევძლებთ გმირი წინაპრების ოცნების ახდენას–ქვეყნისა და ერის გამთლიანებას.

მარიამ სულიკაშვილი.

„მამთლიანებელი, ძლიერ სახელმწიფოში ვისურვებდი ცხოვრებას“

დღევანდელი ნომრის სტუმარია რინელი ადამია–ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში.

ბატონო რინელ, გაეცანით გაზეთის მკითხველებს.

–პირველ რიგში მინდა მივესალმო თქვენი გაზეთის მკითხველებს...

დავიბადე ხობის რაიონის სოფელ ახალ ხიბულაში, ვსწავლობდი ახალი ხიბულის საშუალო სკოლაში. დამთავრებული მაქვს იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით, ასევე ჰუმანიტარულ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. მყავს და, მშობლები.

ამდენად, ხიბულასთან მხოლოდ სამსახურებრივად არ ხართ დაკავშირებული. რას ნიშნავს თქვენთვის სოფელი, როგორია იგი თქვენს მოგონებებში?

–ხიბულა ადგილია, სადაც დავიბადე და გავიზარდე, რათქმაუნდა, ძალიან მიყვარს აქაური ლამაზი არე-მარე და არაჩვეულებრივი ხალხი, რომელთაგანაც ძალიან დიდი

სითბო და სიყვარული მოდის. სადაც ბევრი მეგობარი მყავდა და უფრო მეტი შევიძინე კიდეც. მოგონებებს რაც შეეხება, ლაღი ბავშვობა გვქონდა. თბილად მახსენდება საბავშვო ბაღში გატარებული დრო. მახსოვს, პირველ კლასში ძალიან მერიდებოდა მასწავლებლების და კლასელების გაცნობა. სხვათაშორის მინდა გითხრათ, რომ ახალი ხიბულის საშუალო სკოლას წელს ასი წელი უსრულდება, რის აღნიშვნასაც რათქმა უნდა ვაპირებთ (თქვენს გაზეთსაც ვეპატიჟებით), სკოლა ამ ხნის განმავლობაში ძალიან წარმატებული იყო, სადაც ძლიერი, კვალიფიციური და სახელოვანი მასწავლებლები ასწავლიდნენ. აღზარდეს თაობები, რომლებმაც სხვადასხვა სფეროში დიდ წარმატებებს მიაღწიეს. მიხარია, რომ ჩემი სკოლა დღესაც მოწოდების სიმაღლეზეა და კვლავ განაგრძობს წარმატებული თაობების აღზრდას. ასევე არასდროს დამავიწყდება აფხაზეთში გატარებული ზაფხულის არდადეგები, ზღვის დანახვით განცდილი აღფრთოვანება, თანატოლები, რომლებთანაც თამაშში ვატარებდი დროს. მჯერა, ისევ შევიკრიბებით და ტკბილად გავიხსენებთ ბავშვობას.

ამჟამად რა მდგომარეობაა, სოფლის ინფრასტრუქტურულ განვითარებაზე რას იტყვით, რა პროექტები განხორციელდა და კიდევ რა სიახლეები გველოდება?

–ინფრასტრუქტურულ პროექტებს რაც შეეხება, სოფელში ცენტრალური გზის პრობლემა პრაქტიკულად მოგვარდა. დაიგო ასფალტის საფარი, როგორც ხობი-ჩხოროწყუს დამაკავშირებელი გზის ახალი ხიბულის მონაკვეთზე, ასევე ახალი ხიბულა ზუგდიდის დამაკავშირებელ გზაზე. მოეწყო წყალსაწრეტები, ხიდ-ბოგირები. აშენდა ახალი ხიდი. ამჟამად სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ ძველი ხიბულის ტერიტორიაზე. ორსამ თვეში ხიბულა განახლებული გზით დაუკავშირდება როგორც ხობის, ასევე ზუგდიდისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტებს.

საბავშვო ბაღებში მოწესრიგდა სველი წერტილები, სამზარეულოები, საძინებლები, ხელახლა გადაიხურა ხიბულის მეორე საბავშვო ბაღი. სოფლის ტერიტორიაზე მოეწყო ავტომოსაცდელები, რაც მთავარია, დასრულდა სოფლის გამრიცხველიანება, გაკეთდა და დამონტაჟდა ახალი სადენები.

ახლო მომავალში ველოდებით მდინარე ჭანისწყალზე ახალი და ძველი ხიბულის დამაკავშირებელი ახალი ხიდის მშენებლობას.

არც გაზიფიცირება და წყლით მომარაგება ჩანს შორეულ პერსპექტივად. მოხდება შიდა სასოფლო გზების მოწესრიგება.

მალე შემოდგომა დადგება, როგორი იქნება იგი ხიბულელთათვის. ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლა ალბათ ხიბულაშიც ჩვეულებრივ ჩატარდებოდა, შედეგი როგორია?

–ხიბულაში ძირითადად სიმინდის და თხილის კულტურები მოჰყავთ, შედარებით მცირე რაოდენობით დაფნა, ციტრუსი. სიმინდის კარგ მოსავალს ველოდებით, საყანე ფართობები ერთხელ უკვე დამუშავდა ცივი შესხურებით, რამაც კარგი შედეგი მოგვცა, თუმცა ფაროსანას სრულად განადგურებას კიდევ რამდენიმე ხანი დასჭირდება. ასევე თერმული ნისლით რამდენჯერმე შეიწამლა სოფლის ქუჩები, რამაც მავნებლის მნიშვნელოვანი კლება გამოიწვია, მთავრობის და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით ვფიქრობ, მოხერხდება აღნიშნული პრობლემის საბოლოო გადაჭრა.

როგორია მერის წარმომადგენელი კაბინეტს მიღმა, ცოტა რამ თქვენს ოჯახზე, მეგობრებზე.

–საკუთარ თავზე საუბარი ცოტა მეუხერხულება, თუმცა ვთვლი, რომ ძალიან მეგობრული, თავმდაბალი და თავისუფალი ადამიანი ვარ. ოჯახში მშობლებთან ერთად ვცხოვრობ, მყავს და, რომელიც თავის ოჯახთან ერთად საზღვარგარეთ ცხოვრობს.

რაც შეეხება მეგობრებს, დროის დიდ ნაწილს მათთან ვატარებ. სამსახურშიც ბევრი მეგობარი შევიძინე, რომლებთანაც ურთიერთობა ძალიან მსიამოვნებს.

თქვენი სოფელი დიდია ტერიტორიითაც და მოსახლეობის რაოდენობითაც. შესაბამისად პრობლემებიც მეტი იქნება. რა არის ყველაზე დიდი პრობლემა, როგორ აპირებთ თავი დააღწიოთ მას?

–რაც შეეხება პრობლემებს, ყველაზე დიდი პრობლემა, როგორც რეგიონისთვის, ასევე ჩვენი სოფლისთვის, აზიური ფაროსანა გახლავთ, რომლის წინააღმდეგაც, როგორც მოგახსენეთ, ინტენსიურად მიმდინარეობს წამლობა. ასევე დიდ პრობლემად რჩება ნაპირსამაგრი სამუშაოები, რომლის გადაჭრაც დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, მოწესრიგებასა და გადაჭრას მოითხოვს გაზიფიცირებისა და წყლით მომარაგების სისტემები, შიდასასოფლო გზები, რომელიც უხვმა ნალექმა დააზიანა. ვფიქრობ, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით თანდათან შევძლებთ არსებული პრობლემის მოგვარებას.

როგორ წარმოგიდგენიათ ახალი ხიბულა 10 წლის შემდეგ?

–10 წლის შემდეგ, ვფიქრობ, სოფლის მოსახლეობა გაცილებით უკეთეს პირობებში იქნება. წელში გამართული სოფლის მეურნეობა, ახალი ტექნოლოგიები, მეტად ათვისებული და მორგებული თანამედროვე საბაზრო პირობები, მეტი ახალგაზრდა დაუბრუნდება სოფელს და გაცილებით ბევრ ბედნიერ სახეს ვნახავ.

სურვილის შესრულება მყისიერად რომ შეგეძლოთ, უპირველესად რას გააკეთებდით (პირადში და სამსახურებრივადაც)?

–სურვილებს რაც შეეხება, როგორც ყველა ქართველს გამთლიანებულ და ძლიერ სახელმწიფოში მინდა ცხოვრება, სადაც ადამიანები ერთმანეთს სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობიან, სახელმწიფოში, სადაც ემიგრანტები დიდი სიხარულით დაბრუნდებიან და ბედნიერად იცხოვრებენ. პირად სურვილებს რაც შეეხება, თქვენის ნებართვით ჩემთვის დავიტოვებ.

მალე, ორ თვეში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. როგორ პრეზიდენტს უსურვებდით საქართველოს?

–ისეთ პრეზიდენტს ვისურვებდი, რომელიც ყველა მოქალაქის პრეზიდენტი იქნება, სამართლიანი და ყველას თანაბრად დამცველი. პრეზიდენტი, რომელიც ჩემს სახელმწიფოს ღირსეულად წარმოაჩენს, რომელსაც დიდ პატივს სცემენ, როგორც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები, ასევე ჩვენი პარტნიორები უცხოეთში.

ესაუბრა მერი ლაგვილავა.

,,სამოქალაქო საზოგადოება მცირე და საშუალო ბიზნესის და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის მხარდასაჭერად“

–ხობში ევროპასთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის DSETA-ის რესურს მაგიდა შეიქმნა.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან დაიწყო, მაშინ როცა გაფორმდა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება, და აი, მას შემდეგ ყოველდღე იდება თითო აგური, რათა ჩვენი ურთიერთობები იყოს მტკიცე, ძლიერი და მრავალმხრივი. ეს კავშირი რამდენად მნიშვნელოვანი და იმედისმომცემია საქართველოსთვის, იმდენად გვაკისრებს სხვადასხვა ვალდებულებებს, რომელიც გვაახლოებს და ჰარმონიზაციაში მოჰყავს ჩვენი კანონები.

საერთო ევროპული ფასეულობების განმტკიცება და (და არა მანკიერი შეხედულებების, ჩვევების და სხვადასხვა გაუკუღმართებების)დაცვა, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, მართლმსაულების, ყველა სფეროს მოდერნიზება და ევროპული, მაღალი სტანდარტების დანერგვა, ვაჭრობა და მასთან დაკავშირებული საკითხების, როგორიცაა ევროპასთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის DSETA-ის ჩამოყალიბება. ეს მექანიზმი იძლევა საქართველოსთვის ევროკავშირის შიდა ბაზრის გახსნის საშუალებას. „ასოცირების შესახებ შეთანხმების“, რაც გულისხმობს ასევე ევროპასთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის SETA-bc იმპლიმენტაციის შედეგად, საქართველოს მოქალაქეები კონკრეტულ სარგებელს მიიღებენ. მათ შორის აღსანიშნვია, ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის უკეთესი შესაძლებლობების გახსნა, ევროპულ სტანდარტებს დაქვემდებარებული განათლების მიღება და ძალინ ბევრი სიკეთე, რომლის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

DSETA-ი საქართველოს საშუალებას აძლევს ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: 1.საქონლის, 2.მომსახურებისა და 3.კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების საშუალება. ეს კი საქართველოს მომავლისთვის დიდი პერსპექტივაა.

ევროკავშირისა და ჩეხური ორგანიზაცია „PIN“-ის დაფინანსებით, არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ხობიNEWS“-ის ბაზაზე გახსნა რესურს მაგიდა, რომელიც მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის ევროპასთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის DCFTA-ს დანერგვას შეუწყობს ხელს. DCFTA-ს საინფორმაციო რესურს მაგიდა ეს არის საინფორმაციო-საგანმანათლებლო რესურსი სოფლად მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტის მწარმოებელთათვის ევროპასთან ვაჭრობის ასპექტებზე. რესურს მაგიდასთან ურთიერთობა დაინტერესებულ პირებს დაეხმარება შექმნან ევროსტანდარტებთან თავსებადი საოფლო პროდუქცია და გაიტანოთ ის 500 მილიონიან ბაზაზე. ასევე აწვდის ინფორმაციას შესაბამის სახელმწიფო და საერთაშორისო დონორთა პროგრამებზე.

რესურს მაგიდის შექმნას წინ უძღოდა ერთწლიანი სწავლების პროცესი, რომელშიც ჩართული იყო „ხობიNEWS“-ის ჯგუფი: გია გელაშვილი, ირმა გაბუნიასა და რიმა კაკაშვილის ხელმძღვანელობით. მათ გაიარეს ეფექტური სწავლების ტრენინგები და გახდნენ სერტიფიცირებული ტრენერები, რაც ხელს შეუწყობს წარმატებით განახორციელონ მიმდინარე პროექტი.

პროექტი 4 წლიანია და ხელს შეუწყობს დაინტერესებულ პირებს, ბიზნეს ოპერატორებს, მცირე და საშუალო მეწარმეებს გახდნენ ევროპული სტანდარტების შესაბამისი მეწარმეები. წინ ბევრი სამუშაო გვაქვს. მთავარია, საზოგადოებამ სწორად გაიგოს და მიიღოს ის სიახლეები, რასაც პროექტი გულისხმობს და სთავაზობს მათ.

ჩვენი მისამართია: ხობი, ცოტნე დადიანის 185.(რაპოს შენობა).

ლელა ალანია,
ხობიNEWS-ის ხელმძღვანელი.

სულთათანა

ნათელი შენს სახელს (ნელი ბუკია)

დღევანდელი დღესავით მახსოვს, ქალბატონ ნელი ბუკიასთან პირველი შეხვედრა. აფხაზეთის მოვლენების შემდეგ ჯაპიშაქრის სკოლის დირექტორად დავინიშნე, მაშინდელი განათლების განყოფილების გამგემ, ქალბატონმა რალა ჩემიამ ქალბატონ ნელის გააცნო ჩემი თავი და თან დაამატა, შენებურად კონსულტაცია გაუწიეო. მასთან საუბრით უდიდესი სიყვარული და სითბო მივიღე. იმ დღის შემდეგ მუდამ ვგრძნობდი ქალბატონ ნელის მხარდაჭერას და დიდ ყურადღებას.

თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე, განათლებული, გულისხმიერი, პედაგოგიური გამოცდილების მრავალწლიანი მოღვაწე, ტაქტიანი, მოსიყვარულე, ყველას მომფერებელი, ახალბედა მასწავლებელთა დამკვალიანებელი, მაშინდელი განათლების განყოფილების ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება. ხალხის პატივისცემისა და სიყვარულის გარდა მისი დამსახურება და ღვაწლი მთავრობის მიერაც სათანადოდ იყო დაფასებული. იგი ღირსების ორდენოსანი მასწავლებელი გახლდათ.

ხობის პირველი საჯარო სკოლის დირექტორობის დროსაც მქონდა ბედნიერება მასთან მემუშავა. აქაც დიდად გამომადგა მისი რჩევები და მისეული ხედვები. არ შემიძლია არ აღვნიშნო მისი მეუღლის პედაგოგ ჯონი კვირტიას (აცხონოს უფალმა) თანადგომა და მხარში ამოდგომა.

ხობის მუნიციპალიტეტის პედაგოგიურ საზოგადოებას ნამდვილად დააკლდა, ღირსეული ქალბატონი, გამორჩეული მასწავლებელი.

ღრმა პატივისცემით, კაცური ცრემლით გემშვიდობებით ძვირფასო ქალბატონო.

ბეჟან ნადარაია.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხობის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, ღირსების ორდენოსანი

ნელი ბუკია-კვირტია

და თანაუგრძნობენ მის ოჯახსა და ახლობლებს.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხობის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი იუწყება, რომ გარდაიცვალა რაგბის მწვრთნელ-მასწავლებელი

მერაბი კიტია

და თანაუგრძნობენ მის ოჯახსა და ახლობლებს.

სიკვდილი მაინც არ დაარქვათ გარდაცვალებას...

(დათო ვაჩაძის ხსოვნა)

,,მე წავალ, რადგან დრო აღარ მაქვს უკვე არჩევნის,
მე წავალ, მაგრამ სამუდამოდ თქვენთან დავრჩები“

ადამიანის გონება ვერასოდეს ჩასწვდება სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოს, ვერ ახსნის ბედისწერის სვლებს, ვერასოდეს გაიგებს სწორად ქრისტესმიერ გადაწყვეტილებებს...

ჩვენ ვკარგავთ ადამიანებს და სწორედ, მათი ფერიცვალების შემდეგ ვაცნობიერებთ, რაოდენ ძვირფასები და საჭიროები არიან ჩვენთვის, მიდიან და მხოლოდ მაშინღა ვხვდებით, რომ გულის ყველაზე მნიშვნელოვანი თარო დაცარიელდა. ცამდე აზვირთულ მთებს, რომ ერთადერთი, უმძიმესი ლოდი მოსწყდება, დათო ვაჩაძეც სწორედ, ისე მოსწყდა ოჯახს, ნათესავებს, ახლობლებს, მეგობრებს... მან ამ წუთისოფელში მისი 26 წლიანი ცხოვრებით შეძლო დაემტკიცებინა, რომ კაცობრიობისთვის ყველაზე ძვირფასი და ფასეული, ადამიანური ურთიერთობებია. მისი არსებობა სამაგალითოდ დარჩა ყველასთვის. მას გულწრფელი მეგობრობა, უსაზღვრო სიკეთე და ჭეშმარიტი სიყვარული შეეძლო. ეს ყველაფერი ალბათ, სწორედ, ამიტომაც აქცია უფალმა მარადისობად. 11 აგვისტოს მას 29 წელი შეუსრულდებოდა...

დრო ვერ წაშლის იმ ტკივილსა და მონატრებას, რასაც ოჯახის წევრები, ნათესავები და მეგობრები განიცდიან. ამ უმძიმეს მდგომარეობას ვერ გაუძლო მისმა მამამ, ბადრი ვაჩაძემ, რომელიც შვილის გარდაცვალებიდან 3 წლის შემდეგ უსასრულობას შეუერთდა და ცათა სასუფეველში დათოს გვერდით კუთვნილი ადგილი დაიკავა.

ყველასთვის მარად ცოცხალი დარჩება სიკვდილზე ამაღლებული დათო. მარტოდმარტო დარჩენილ დედას კი მუდამ ექნება სანუგეშოდ იმიერში გადასახლებული შვილისა და მეუღლის განვლილი ცხოვრება...

დაე, დაუმკვიდროს მათ უფალმა მართალთა, ცათა სასუფეველი, სადაც არა არს ჭირი, მწუხარება, არა-ურვა, არცა-სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი...

ოჯახი და ახლობლები.

მუნიციპალიტეტის რვა ობიექტს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2018 წლის 3 აგვისტოს 02/47 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე რვა ობიექტს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

* ხეთას ციხე (ხამისკური).
* ზემო ბიის წმინდა მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია (ბია).
* ზემო ქვალონის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.
* ზენის ციხე (საჯიჯაო).
* ყურუმულიას ციხე-ჯიხა (პირველი მაისი)
* მაჩხომერის ციხე (პირველი მაისი).
* ზვიად გამსახურდიას მემორიალური სახლი (ძველი ხიბულა).
* გაღმა საჯიჯაოს ციხე (საჯიჯაო).

ზენის ციხე (საჯიჯაო).

ხეთას ციხე (ხამისკური).

ზემო ბიის წმინდა მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია (ბია).

ზვიად გამსახურდიას მემორიალური სახლი (ძველი ხიბულა).

ვულოცავთ!
იდღეგრძელეთ...

ცხოვრება არავის ანებივრებს. წუთისოფლის ორომტრიალში დგება ჟამი, თითქოს „დალაგებულ“ ცხოვრებას რომ გინგრევს და ირგვლივ გაუსაძლისი ტკივილი ისადგურებს...

კაპიტონ ცხადაიასა და ტასო ზამბახიძეს ერთხელ შავღრუბელ გადავლილი ცხოვრება (სიძის, ყველასთვის საყვარელი რაულ სიგუას ამქვეყნიდან ადრე წასვლის გამო), ნელინელ კალაპოტში ჩადგა, შვილებითა და შვილიშვილებით გულგანათებულნი ტკბილ ცხოვრებას განაგრძნობდნენ... ხარობდა ოჯახი, ბატონი კაპიტონი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, დიდებულად უძღვებოდა დიდ ოჯახს, წლების განმავლობაში მუშაობდა აგრონომად, ქალბატონი ტასო კი მეაბრეშუმე აგრონომი გახლდათ. სიყვარულსა და სიტკბოში თანაცხოვრების 68 წელი გაილია... მათი ოჯახიდან სიცილის, სიმღერის (ბატონი კაპიტონი ხალხური სიმღერების ანსამბლში მღეროდა) პოეზიის ექო ეფინებოდა არე-მარეს... შვილიშვილების ჟრიამული ავსებდა ნალოლიავებ კარმიდამოს...

დასანანია, რომ წლევანდელ 9 მაისს ბატონი კაპიტონი მარტოდმარტო თანამებრძოლებისა და ქალბატონი ტასოს გარეშე მოვიდა ხეთაში ხსოვნის ველზე, არადა წლების უკან სამამულო ომგადახდილთა მიერ დანთებულ სანთლებს ბოლო არ უჩანდა... მათი საინტერესო მოგონებები აცოცხლებდა დიდების მუზეუმის გარემოს. მის თვალებს მიღმა სევდა იკითხებოდა, სევდა მეუღლის ტასო ზამბახიძისა და რძლის მაყვალა ლიპარტიას გარდაცვალების სევდა...



ამ მაისსაც ითქვა ამქვეყნიდან წასულთა სადიდებელი... კვლავ გაისმა ომახიანი „ჰერიო ბიჭებო“, იყო ლამაზი მოფერება. სასიამოვნოა, რომ მას ისევ შემორჩა ნათელი გონება, სმენა, მხედველობა, და რაც მთავარია, სულის სიმხნევე...

8 აგვისტოს ბატონ კაპიტონ ცხადაიას 94 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ, უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით, (მან ეს ნამდვილად, თავისი ლამაზი ცხოვრებით დაიმსახურა).

ვთხოვთ უფალს კიდევ დიდხანს არ მოაკლოს მის მონაგარს მისი სითბო და სიყვარული, ჩვენ კი მასთან შეხვედრისა და საუბრის სიამოვნება.

მერი ლაგვილავა.

ნუტი ლემონჯავას სახელობის საფეხბურთო ტურნირი

ხობის ცენტრალურ სტადიონზე სტარტი აიღო ხობის „კოლხეთი-2“-ის ფეხბურთელის, ტრაგიკულად დაღუპული **ნუტი (ნუგზარ) ლემონჯავას** სახელობის თასის გათამაშებამ.

ტურნირში მონაწილეობენ: ხობის („კოლხეთი“), მარტვილის („სალხინო“), ხონის („იმერეთი“), მარტვილი („დინამო-აკადემია“), ლიას (“ენგური“), ბათუმის სასპორტო სკოლა, ფოთის („კოლხეთი“), ზუგდიდის საფეხბურთო სკოლის 2006-2007 წლებში დაბადებული ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდები.

ღონისძიების გახსნის ცერემონიას ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია, მერის მოადგილეები: ვარაზ გაბედავა და მახარე ჩოკორაია, საკრებულოს წევრებთან და ოჯახის ახლობლებთან ერთად ესწრებოდნენ. საფეხბურთო ტურნირის ფინალური შეხვედრები 29 აგვისტოს (ნუტის დაბადების დღეს) ჩატარდება.

შეჯიბრების ჩატარების ორგანიზატორებია საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“ და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაცია.

გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვდება ნუგზარ ლემონჯავას სახელობის თასით, დაჯილდოვდებიან აგრეთვე საპრიზო ადგილზე გასული გუნდები და შეჯიბრების საუკეთესო ფეხბურთელები სხვადასხვა ნომინაციაში, რომელთაც გადაეცემათ პრიზები და სიგელები.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ- საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა– ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 0 (414) 22-21-31; 22-25-81; 599-50-40-57; 577 21-41-44.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი№20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.